კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #1

ქ. თბილისი 14.05.2014წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

პაპუნა პეტრიაშვილი – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – ქ. თბილისის მერის მოადგილე;
გიორგი ქორქაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი;
გიორგი ვაჩეიშვილი – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
გივი რუხაძე – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის შემოსასვლელების, სანაპიროების, პარკების, ექსპლუატაციის, აღდგენისა და მოწყობის განყოფილების უფროსი;

დღის წესრიგი

კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის, გიორგი ქორქაშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარმოუდგინა: ა) საკონკურსო განცხადების პროექტი და ბ) საკონკურსო დოკუმენტაცია.

საკონკურსო კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტები, კომისიის თავმჯდომარემ ასევე დადებითად შეაფასა საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები.

კომისიამ დაადგინა:

1) დამტკიცდეს საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის (იხ. დანართი N1 და N2) წარმოდგენილი ვარიანტი;
2) საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge–ის მეშვეობით.

კომისიის თავმჯდომარე /**პაპუნა პეტრიაშვილი**/

კომისიის წევრი /**გიორგი ქორქაშვილი**/

კომისიის წევრი /**გიორგი ვაჩეიშვილი**/

კომისიის წევრი /**გივი რუხაძე** /